



ელენე ბერიძე, მედი ტლაჰაძე

უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე სხვადასხვა ტრენინგში ვიღებდით მონაწილეობას. 2016 წელს კი ჩავერთეთ გლობალური მენარმეობის კვირეულის ფარგლებში ილიაუნის ფაბლაბის ორგანიზებით გამართულ მეიქათონში, რომლის ფარგლებშიც დავინწყეთ საკუთარი პროექტი.

როგორ გაჩნდა იდეა? ბევრს დავდიოდით და სულ გვაინტერესებდა, რატომ ქმნიან ქალაქში საცობებს ნაგავმზიდი მანქანები, რომლებიც ნაგვის ურნებს გარკვეული პერიოდულობით აკითხავენ მთელი ქალაქის მასშტაბით. ამ პრობლემის მოგვარება გადავწყვიტეთ – ისეთი მოწყობილობის გაკეთება, რომელიც ნაგვის ურნაზე დამონტაჟდებოდა და შეატყობინებდა ურნის ავსების დონეს. soft-

ის საშუალებით ასევე შესაძლებელია ნაგავმზიდებისთვის საცხე ურნამდე მისასვლელი უმოკლესი მარშრუტის დახაზვა. ამ იდეის რეალიზებაში დაგვეხმარა „მეიქათონი“, რომელიც გლობალური მენარმეობის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ილიაუნის.

ერთ კვირაში ფაბლაბში შევძელით პირველადი პროტოტიპის შექმნა და დემო დღეზე წარდგენა. მეიქათონის ფარგლებში ვხვდებოდით მონვეულ სპიკერებს, ტრენერებს და ვიღებდით რჩევებს, ჩვენი სტარტაპი როგორ უნდა გამხდარიყო წარმატებული და ამისთვის რა გზა გვეჩვენებოდა გასავლელი. შემდეგ კი ZoomOut-ის დახმარებით მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა ღონისძიებაში, როგორც იყო, მაგალითად, Startup Battle Tbilisi, პარალელურად ილიაუნის ფაბლაბში პროტოტიპირებაზე ვაგრძელებდით მუშაობას.

2017 წლის მარტში „ფაფუ“ გახდა Wolves Summit 2017-ის ერთ-ერთი გამარჯვებული და ინვესტორებთან შესახვედრად მიგვიწვიეს.

2017 წლის Startupbootcamp IOT პროგრამის წარმომადგენლებისგან შემოთავაზება მივიღეთ – კონკურსის შედეგად ოცეულში არჩევის გამო აქსელერაციის გასავლელად მიგვიწვიეს startupbootcamp-ში, ლონდონში, სადაც სრულიად ფინანსდებოდა პროექტზე მუშაობის ხარჯები. ამ პროგრამის ფარგლებში სტარტაპი იურიდიულად უნდა დაგვეფუძნებინა დიდ ბრიტანეთში და იქ გაგვეგრძელებინა მუშაობა. ამ საკითხზე ამჟამადაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

ასევე მოლაპარაკებები გვაქვს თბილსერვის ჯგუფთან, მზადაა მოწყობილობის 10 ცალი საცდელი ვერსია და software, რომლის ქალაქში ტესტირების დაწყებისთვისაც ვემზადებით.

2017 წლის ნოემბრის ბოლოს კი „ფაფუს“ წარვადგინეთ European Youth Award-ზე ავსტრიაში, სადაც ის ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვითი პრობლემების მოგვარების მიმართულებით საუკეთესო სამ ფინალისტ პროექტში მოხვდა.